№ 149
ოთხშაბათი, 11 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 149
ოთხშაბათი, 11 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

თავადნი ალექსანდრე და ივანე დიმიტრის ძენი აფხაზნი დებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათის ძმის, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის

თავადის გიორგი დიმიტრის ძის აფხაზის

გარდაცვალებას 8 ივლისს გორის მაზრის დაბა სურამში. განსვენებულს დაასაფლავებენ დღეს, 11 ივლისს, ვერაზედ, იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, სამელლებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ტელეფონი № 174.

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—61)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მოსწავლეების მიღება უმცროს განყოფილებაში** და მოსამზადებელ კლასის ახლად გახსნილ **საშუალო განყოფილებაში** დანიშნულია ამ 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოსათვის. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლამდე **უეგზამენოდ**; საშუალოში—8-დგან 10 წლამდე **ეგზამენით.**

თხოვნები მიიღება **ორშაბათობით, ოთხშაბათობითა** და შაბათობით დილის 11-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე სასწავლებლის შენობაში. თხოვნას უნდა ახლდეს: ნამდვილი დაბადების მოწმობა, მოწმობა წოდებისა და ყვავილის აცრისა და აგრეთვე პირი ამ მოწმობებისა. თხოვნები, რომლებსაც უამ-მოწმობებოთ წარმოადგენენ, არ მიიღება. (6—6.—3)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ზაქარია აბელის ძის ანდრონიკაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ათას ორმოცდა ხუთის (1045) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უპირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადს ანდრონიკაშვილს, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება.

(3—6.—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობისაგან

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ნიკოლოზ ვასილის ძის ბებურო-ვაჩნაძის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ორას სამოცდა ხუთი (265) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უპირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავად ბებურო-ვაჩნაძისა ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება. (3—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფებს იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ჭ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარამეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგუტინსკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის 10—11 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

ფელეტონი

რწყილიატყავეს სამარე

(სურათი).

მაღალ მთის წვერზედ წამოდგმული წმინდა ტაძარი დიდებულად გადასცქერის ქიზიყის შორით-შორამდე გადაჭიმულს მრავალს ახოვან მთა-ბარს, ნახნავ-ნათესით აჭრელებულ ალაზნის თვალ-გაუწვდენელ ტრიალ მინდორს და დაღისტნის ცამდე აშართულ მთა-ბუმბერაზებს. ტაძრის გარშემო მთის ფართო ზურგი მკვდართა სავანე-საფლავებით არის აღსავსე. აგერ, ბორცვებიან მაღლობზედ კიდევ ახალი სამარე გაუჭრიათ, რომლის მიწის ვეებერთელა ზვინს სამი მხარ თეძოჭედ წამოწოლილი მესაფლავე მიჭყრდნობია და მიცვალებულს ელიან.

სამარის მახლობლად შარა გზაზედ მინდვრიდამ მომავალი მეცხვარე გამოჩნდა თავისი ზორბა ბოთვერა ძაღლით. მხარზედ კავ-ჩომბახ გადებული მეცხვარე შედგა და რიხიანად გამოსძახათ:

— ვისია ე სამარე? გიგიავ!

— რწყილიატყავესი.

— ბიჭოს! მოკვდა, კაცო?

— არ კი მოკვდა, ჩაძაღლდა!

— ჰი! გამაჰძვრეს თვალი! ი სულძაღლი, თავის კრუხად დასმულ მანათებს რო თუმნებს აჩეკინებდა და იმოდენა ქვეყნის ცოდვასა ჰჭამდა უსულღმერთოთ, რატო არა ფიქრობდა: უკვდავ-უბერებელი არავინ არი. მეც დღეჰ თუ ხვალ მიწაში ჩამფლამენ და ღვთის სამართალს ვერსაით დავემალებიო!

— მაგითანა ფიქრები ფეხებზე ეკიდა რწყილიატყავეს.

— ფეხებზე ეკიდა-და, ეგე ეხლა შალალლალდეს ყიყინა ბაყაყივით ი ჯოჯოხეთის კუპრის ტბაში და დაიწვას ი ანთებულ გენიაში!.. მაგრამ, არ დაიჯერებთ, კაცებო, ჯოჯოხეთის სამგლე ნაჩალიკსაც დაჰქრთამამს რითმე და სამოთხეში ამაჰყოფს თავს, ი სულ-წაწყმენდილი!

— ის იგეთი არ-საცხონებელი იყო, რომ არც ეგ არი საკურველი. აი ჰნახამთ, თუ რწყილიატყავემ საიქიოსაც რწყილები არ ატყაოს საქალმეთ!

— მა თავი-ხელობას მაიშლის-რა! ის იგეთი დედამიწა გასახეთქი, დამწვარ-დადაგული კრიჟანგი იყო, რო იქაც რწყილი-ხორცის მეტს არაჰ შაჰჭამს!

— ეგ ხო ეგრე იქნება, მაგრამ საიქიოსაც პატიჯილობა იციანო, და სხვათა სუფრაზე კი იქაც თავისებურათ ყელში ამაიდენს მუქთა საჭმელ-სასმელს!

— ალესკო! მობრუნდი, პატარაყი დაგვრჩა პუტლიკაში, რწყილიატყავეს შასანდობრათ ჩაყლაპე, კაცო!

— აი გიშველოთ ღმერთმა! ნამგზავრი ვარ, შამერგება. დღეს უნდა ჩაჰფლათ რწყილიატყავე?

— ჰო. ჯერ ქვევითა საყდარში ანდერძს უგებს ჩვიდმეტ-თვრამეტი ღვდელი: ცდილობენ სამოთხეში შააძვრინონ როგორმე, მაგრამ აი გაჰქრეს, რო რწყილიატყავეს სამოთხის კარებისათვინაც არ ასუნებინონ, როგორც მე ხეშწიფი სახლში არავინ მიმიპატიჟებს, თუნდა რაც ქვეყანაზე ლოცვებია—მე წამიკითხონ!

— იჰ! რა დრუჰტათ წამოვიდა, კაცებო, ერთი ტაქანი! აჰა, გადახუხე ე ეშმაკიჰ სისხლი.

— ღმერთო! ცისა და ქვეყნის გამჩენო უფალო! შენ დატანჯე და ააღრინე ჯოჯოხეთის აპრიალებულ გენიაში სულკატიანი რწყილიატყავე, როგორც იმისმა ფუტკრის ჟოლიივით ნაბღარტმა უსულღმერთო სარგებლის სარგებლებმა დატანჯა და ამოწყვიტა ბიძა-ჩემიც ძირიანფესვიანათ!

— ამინ! ამინ!—მიაძახეს მეცხვარეს, რომელმაც სწრაფად გადაჰკრა „ეშმაკის სისხლი“ რიკვა რუსივით.

— აჰა, ე ლუკმაც, ლიმაზი ლაჰოსავით ლავაშია.

— დაჯე, კაცო, ალექსო, პატაქარი ამაიღე.

— მემრე როგორი დალალულდაწყვეტილი ვარ, კაცებო, რო იცოდეთ.

მეცხვარე მესაფლავეების პირდაპირ წამოწვა გაზაფხულის ახლად

ვ. დ. მარკვეზი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კოროლენოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

ფოთის საფელდშერო

კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნის შეტანა შეიძლება ყოველ დღე. პროგრამები გაეგზავნება მსურველს უფასოდ. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან.

(8—ნ.—2)

ტფილისი, 11 ივლისი.

როგორც აქაურის გაზეთებიდგანა და „ივერიის“ 145-№-ში მოთავსებულ მეთაურ წერილიდგან შეიტყობდა ქართველი მკითხველი, ქართლ-კახეთის ეპარქიის სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში დღემდის არსებული გეგმა სწავლებისა—სამშობლო (ქართულს) ენაზედ—ადგილობრივს უმაღლესს სასულიერო მთავრობას, რომელმაც იგი ამ თხუთმეტის წლის წინად შეიმუშავა და სამართლიანადა სცნო შემოღება, ახლა შეუფერებლად უცვნია (?) და შეუდგენია ახალი გეგმის პროექტი, რომელსაც უწმიდესს სინოდში თურმე უპირებს გაგზავნას დასამტკიცებლად.

ძველის გეგმით დღემდის, სამის წლის კურსიანს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში, ქალაქებსა თუ სოფლებში, ყველგან მთელს ქართლ-კახეთის ეპარქიაში, საგნების სწავლება სამშობლო (ქართულს) ენაზედ სწარმოებდა და რუსულს ენას, როგორც ცალკე საგანს, ისრე ასწავლიდნენო, სწერს პატივცემული ავტორი ზემოდ დასახელებულის წერილისა, მაგრამ

შარშან-კი სასულიერო უმაღლესმა მთავრობამ საჭიროდ დაინახა სამრევლო სკოლების კურსი არა რუსთათვის უფრო ხანგრძლივი შექმნა და მოუმატა მეოთხე წელიწადი. თანაც მოსწერა ადგილობრივს მთავრობას, რათა საგნების განაწილება ოთხს წელიწადზე მოეხდინათ, ნაცვლად წინანდელის სამის წლისა. ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭომ საგნების გასანაწილებლად ამოირჩია კომისია სამი თავისი წევრისაგან, რომელთაგან ერთი იყო რუსი (მამა გოროდცევი) და ორი ქართველი (ტატიშვილი და ფირაძე). ამ კომისიამ საჭიროდ დაინახა დარჩენილიყო უწინდებურად ერთი ტიპი ქართულის სკოლისა როგორც ქალაქებისათვის, ისე სოფლებისათვის, სწავლება საგნებისა ქართულს ენაზე სამს წელიწადს, ხოლო მეოთხე წელიწადს რუსულს ენაზე. რუსულის ენის სწავლებაც მან შესაძლოდ დაინახა პირველივე წლის დასაწყისიდგან. როგორც სჩანს რუსულის და ქართულის გაზეთის ცნობებიდგან, ხსენებულს საბჭოს არ შეუწყნარებია კომისიის აზრი და შეუმუშავებია სხვა პროექტი ახალის გეგმისა, რომელიც უნდა გაიგზავნოს სინოდში დასამტკიცებლად.

ეს ახალი პროექტი ერთის ტიპის სკოლის მაგივრად აწესებს საქართველოსათვის ორის ტიპის სკოლებსა. ქალაქებში ყველა ქართულს სკოლებში სწავლება პირველივე წლიდგან უნდა მიდიოდეს რუსულს ენაზე და სახელმძღვანელოებად რუსულის ენისა მეორე წლიდგან მაინც უნდა იხმარებოდნენ ის წიგნები, რომელნიც რუსეთში იხმარებიან და შედგენილნი არიან რუს ბავშვებისათვის; რუსულსავე ენაზე უნდა მიდიოდეს სწავლება საგნებისა იმ სასოფლო სკოლებში, სადაც ქართველებში ურევიან ოსები და სომხები, თუნდა ეს უკანასკნელები კარგად ლაპარაკობდნენ ქართულადა; ქართული ენა ამ სკოლებში ისწავლება, როგორც ცალკე საგანი, და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მასწავლებელმა იცის ეს ენაო. მხოლოდ იმ ქართულს სკოლებში, სადაც არც ოსი და არც სომეხი არ ურევია, სწავლება საგნებისა სწარმოებს ქართულს ენაზე რუსულად თარგმანითა; მეოთხე წელიწადს-კი ყველაფერი უნდა ისწავლებოდეს მარტო რუსულს ენაზე. ამავე მიმართულებისანი არიან სხვა მუხლებიც ამ ახალის პროექტისა, რომელიც უმთავრესად არის ნაყოფი დეკანოზის ვოსტორგოვისა, რომელმაც ამ რამდენისამე თვის წინად დაიჭირა ადგილი ქართლ-კახეთის საეპარქიო მეთვალყურისა, ნაცვლად ბ-ნ ნ. ტატიშვილისა.

ასეთს შეუფერებელსა და არა-პედაგოგიურს გეგმას სწავლებისას სხვა რიგად მჭევრ-მეტყველურად დასურათება აღარ ეპირვება, რადგანაც პედაგოგიურისა თუ პირვანდელის მოსაზრებით, რომლითაც სამრევლო-საეკკლესიო სკოლების გახსნის დროს ხელმძღვანელობდნენ დამაარსებელნი, იგი არავითარს სამართლიანობას არ შეეფერება, ვერავითარს კრიტიკას ვერ გაუძლებს და მეორეც, ჩვენს ცხოვრებაში არავითარი ისეთი ცვლილება არ მომხდარა ამ ხნის განმავლობაში, რომელიც ამ განზრახვას ამართლებდეს. ზარალი და მავნებლობა ამ ახალის გეგმისა ქალაქისა თუ სოფლის სკოლებისათვის მით უფრო საწუხაროა, რომ თავისნებობას მეთვალყურისას თვითოეულს კერძო შემთხვევაში შეუზღუდველი უფლება ეძლევა და პედაგოგია, როგორც მეცნიერება და სამართლიანობა, როგორც სახელმძღვანელო ჭეშმარიტება მისს შემცდარს აზრებსა და განზრახვას უნდა ემორჩილებოდნენ. ჩვენ-კი, ქართველებს, ასრე სასტიკადა და უსამართლოდ მოპყრობა არაფრით დაგვიმსახურებია.

მაგრამ ხსნა ნუ-თუ აღარსაიდგან არის? და აი, ჩვენც ამის შესახებ გვსურს ჩვენს საზოგადოებასა და უფრო-კი ჩვენს სამღვდელოებას, რომლის წმიდა მოვალეობაცაა თავისს სამწყსოს სარწმუნოებრივ-ზნეობრივს აღზრდაზედ ჰზრუნავდეს, მცირე სარჩიელი მივცეთ და კანონიერი გზა ვუჩვენოთ, რა რიგად შეუძლიანთ აღნიშნულის განზრახვისა გამო თავისი სამართლიანი აზრი მთავრობას წარუდგინონ.

სამღვდელოებას, როგორც დამცველს თვისის სამწყსოს ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ინტერესებისას, რამდენადაც ვიცით, უფლება აქვს საჭიროების დროს საბლაღოჩინოების კრებები მოახდინოს და ესა თუ ის საგანი განიხილოს და თავისი აზრი და დადგენილება ადგილობრივს სასულიერო მთავრობას წარუდგინოს. იმედია, ამისათვის ჩვენი სამღვდელოება ახლაც ასრე მოიქცევა და თუ ჰნახავს, რომ ეს ახალი პროექტი შეუფერებელია, თავისს აზრს დაწვრილებითის დასაბუთებით ეპარქიის უმაღლესს მთავრობას წარმოუდგენს ჯეროვანის კანონიერის მსვლელობისათვის; მეორეც, ითხოვენ მთავრობის წინაშე, რომ, რაც შეიძლება მალე აღნიშნულის საგნის განსახილველად სრულიად საეპარქიო კრება იქმნეს მოწვეული და ამ კრებამ განიხილოს ახალი გეგმის პროექტი, შესაწყნარებელია იგი თუ არა, და, თუ საჭიროდ სცნობენ, სთხოვენ საქართველოს ექსარხოსს ფლობიანეს უწმიდესის სინოდის წინაშე ამის შესახებ შუამდგომლობა იქმნეს აღძრული.

მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა მე-10 არტილერიის ბრიგადის პოდპორუჩიკი თავ. თუმანიშვილი ავსტრიის იმპერატორის კეკსგოლმის ლეიბ-გვარდიის რაზმში.

ახალი ამბავი

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოებას აზრად აქვს თურმე რკინის გზაზედ ბაქოდგან ყარსამდის საკუთარი [illegible] პატარა დუქნები გამართოს: მაგალითად, სადგურ აჯიკაბულსა, ალსტაფასა, ევლახსა და გუმბრში. ამ სადგურებიდგან საჭირო საქონელი მახლობელ სადგურებში იქმნება გაგზავნილი.

⁂ ტფილისის მე-III გიმნაზიის მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს ამ გიმნაზიის პანსიონის გაფართოვებისა და პანსიონერთა სწავლის ფულის გადიდების შესახებ.

⁂ ახალციხის მაზრის ზოგიერთ სახაზინო გლეხებს, რომელნიც სახაზინო ტყეებში მუშაობენ, შუამდგომლობა აღუძრავთ სატყეო დეპარტამენტის წინაშე იმის შესახებ, რომ მათ შეღავათი მიეცეთ გასატან ხე-ტყის ფულის გადახდის საქმეში.

⁂ როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, 7, 12 და 15 ივნისს თელავის მაზრაში მოსულ საშინელ სეტყვას გაუნადგურებია: ს. შაშიანში 55 დესეტინა ვენახი და 30 დეს. ყანა, ს. კონდოლსა და ტაგნიანში 220 დეს. ყანა და 45 დეს. ვენახი, სოფ. კურდღელაურში 200 დეს. ყანა და 20 დეს. ვენახი. ზარალი სულ 32,200 მანეთამდის იქმნება თურმე.

⁂ როგორც ადგილობრივ გაზეთებს სამტრედიიდგან ატყობინებენ, 4 ივნისს იმერეთში საშინელი ნიაღვარი მოსულა და მრავალი შინაური ფრინველი და წვრილი საქონელი დაუხრჩვია. ზარალი დიდია თურმე.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ ახლო ხანში შეუდგება ქალაქის საქონლის ბაკის გაფართოების საქმეს.

⁂ ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილულ იქმნა ამის წინად გარდაცვალებულის მოქალაქის ალექ. მკდვინოვის ანდერძის დამტკიცების საქმე. სასამართლომ არ დაამტკიცა ეს ანდერძი.

⁂ ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ მიანდო ქალაქის სასწავლებელთა

მობუსუსებულს მწვანეზედ. მისი დიდ-კუდა ქოფაკი ძაღლიც მის ახლო წამოსკუპდა და უცნობს კაცებს თვალებ-გაშტერებული ყურება დაუწყო ყურებ-დაცქვეტილმა.

— შენ რაღამ დაგღალა, კაცო, ჩვენსავით შავი მიწის ჭიდილი გძალამს მუდამ ცისმარე დღეს-რა!

— ეჰ, ბრანი ჩვენი, რო მწყემსი კაცი ღამეც შავ დღეშია გათენებამდინ, თორე თქვენ რა გიჭირთ, შვილოსა, ღამე მაინცა გძინამთ მოსვენებით. აი ღეჰ დავინახეთ ფარსაგათ მზიჰ თვალი, ეს ერთი კვირაა ჯაბრზე უზაპუნებს ი ბალთამანი წვიმა. ვდგევართ ბნელა-კუკუმეთ ღამის წვიმა-სხმაში და ძერასავით გარს ვევლებით მინდორზე მაწონივით შადედებულ ცხვრის ფარას, მაგრამ რა ეშმაკი, მაინც ვერ იმაგრეფ იმ ბალთამან ნადირს! იგრე ძალზე იწყვს შიმშილით გაშმაგებული მგელი ბნელა-კუკუმეთ წვიმიან ღამეში, რო აღარც ძაღლს ეპუება, აღარც კაცს და აღარც თოფს ის გასავერანებელი! გუშინწინ ღამაც ერთი კაი ჭედილა მამტაცა იმ გასატიალებელმა! ღამის დიდ ჭექა-ქუხილზე კიდე ხო ძალზე ფთხის გულ-გახეთქილი ცხვარი, და აბა მოდი შენადა ბნელა-კუკუმეთში თავი მოუყარე უზიანოთ, ნოტო-ნოტოთ აქათ-იქით გაგრიალებულ ცხვარს. ეჰ, ბოროტია რაღა, ბოროტი ჩვენი ხელობა, გამჩენის მადლმა!

— მეორე ცეცხლი კიდე ის არი, რო ქურდი-მაწანიკი კაციც ჰწორეთ ემაგეთ წვიმიან ბნელა-კუკუმეთში ეტანება ცხვარს გასატაცათ. მთისა მემცხვარესა ჰკითხე, ბარისა გუთნიდედასო, და მეც მაგაზე მეტი რა გამამიცდია: ცხვარშიაც ჰიპი მამიჭრია, ძროხაშიაც და ღორშიაც,—კვერი დაუკრა მეცხვარეს მესაფლავეთაგანმა.

— ღთის წყალობა გქონდეთ, მე შარშან ყაჩაღი შილხანა ჩავაძაღლე ჩემი აილანით ტარიბანაში და იქვე ჩავფლე მიწაში კატის ფინთივით. ერთ დადინჯებულ მარაგიან ღამეს აი ეგრე წამოწოლილი ვარ მინდორზე, კაცებო, და გავყურეფ თოვლივით თეთრათ დაწოლილ ფარას. ვნახოთ, ერთი ნოტო ცხვარი წამაიშალა ქვევითა ნაპირიდამ, მაჰწყდა ფარას და შაჯგუფებული დარუვდა თავქვე ფერდობისყენ. მე მაშინვე შევატყე, რომ მახე იყო დაგებული: ვიღაცა თავისკენ მიათრევდა თოკ-მობმულ მარილის მოგდებულ გოხს და ცხვრები ლოკვით მიჰდევდნენ მარილს. დანდობილა გავერთხი დედამიწას ბაყაყივით და გლონივით გავგლუტუნდი მუცელზე მოწყვეტილი ცხვრის ნოტოსყენ. იმთენი ვიბობღე და ვიცურე ცხვრებს უკან გულდაღმა გართხმულმა, რო მალე შორიდამ გავიანდევე: რაღაცა ეკუნტა შავათ და ცხვრებიც დოჰტოღრივ იმისაყენ მიდიოდნენ თოკ-მობმული მარილის ლოკვით. გამოძვრა თუ არა ნამგალა-თვარე ღრუბლიდამ თაგვი-წრუწუნასავით, გავხედე თოფს, დაიჭექა და შავათ ჩაკუნტებული დუშმანი ყირამალა გადატრიალდა ტაკიმასხარა მაიმუნივით. ვიშიშვლე ხანჯალი, დაუძახე ამხანაგებს, გავქანდით, დავაკვესეთ და ვაი შენს შილხანას! ვნახეთ, რო ყაჩაღი შილხანასათვინ ტყვიას გულმკერდი გაეგლიჯნა და იქვე გამქრალიყო ჰრაქივით ხელფეხ გაუსავსავებლათ.

— ჰი! დაუდგეს თვალი!..

— რო არა მღვიძებოდა-კი, გაიტყუებდა თოკ-მობმული მარილის თრევით ერთ ნოტო ცხვარს პატაგანზე მოშორებით, წამოუვლიდა და ჰეიიი! წაასხამდა. ბევრი ქრისტიანის ცოდვა ედვა იმ ურჯულო თათარ შილხანას კისერზე, და ბოლოს ჩემმა დალოცვილმა აილანმა ამაოშხამა ცოდვები. გადამეკიდნენ: წადი ნაჩალიკს მაახსენე და ჯვარ-მენდალი მოგივა ხემწიფიდამ ყაჩაღი შილხანასი ჩაძაღლებისათვინო, მაგრამ ვიფიქრე: ჯვარ-მენდალი კი არა, იქნება ჯოჯოხეთის ქვეყანაშიაც ამამიყოს თავი ეხლანდელმა ზაკონის კანონმა-მეთქი, და სიცივისაგან დადურალულ ჰრიჰინასავით სული გავტვრინე. აი, კაცებო, რამოდენა საფთხეში და ტანჯვაშია მემცხვარე კაცი, და ზოგს-კი აგრე ჰგონია: ბარი და ნიჩაფი რო არ უჭირამთ, წუთისოფლის ლხინქეიფში ისინი არიანო, ეგ არი რაღა! ჰაი გიდი ჰა!.. დოლობაში კიდე მემცხვარიჰთანა ცეცხლის პურის ჭამა ვისა აქვ დუნიაზე?! წველვა და კრეჭვა კიდე ხო წელსა და მხრებსა ჰწყვეტამს ადამიანს, მაგრამ, აკი ვამოფ, ვინც არ იცის, ცერცვი ჰგონიაო.

— მაჰ შენ იგრე გდომებია, რო გაურჯელათა ჰყლაპო თუთლუპ ლღლვივით ი დაწითლებული ყაურმა და დაშხიპშხიპებული მწვადები და ზედაც ყინვარსავით ცივი და ბროლივით კამკამა მაის წყარო ჰსვა გაუმაძღრათ, მაგრამ მაგრე ვინ გიყაბულებს, შვილოსან!

— მართალია, მწყემსებს დიდი ჯაფა გაქვთ ზამთარ-ზაფხულ მთაში თუ ბარში, მაგრამ საქმე ი დაწითლებული ყაურმა და დაშხიპშხიპებული მწვადებია-და! ვერ უყურებთ, ამ სალავათ-ძაღლს, როგორ იალბუზის ბულასავით ჩაჰტროყებია ი წითლათ ჩაყინწლილებული კისერი! ჯერ ამის წითელ-ყვითელ ფოლაქებიან ჩოხტა ტყავს შაჰხედეთ, კაცებო, ე ტყავიც-კი როგორ თავით-ფეხამდინ ქონისაგან ლიპლიპებს მზე-მიმდგარ სარკესავით!

— ჰო-და, აბა, მე-კი ერთი კანა მურდალი ძროხი ქონიც მენატრება, რო მუშაობით დახეთქილ-დაბებრებულ ხელებზე მაინც მოვისვა გამხმარი კოჟოების მოსალბობათ.

— დაიცათ, კაცებო, რა უნდა გითხრათ, ე ამთენი ადამიანის ხუხლუპანა კენჩხები და ძვლები რო ამოგიყრიათ სამარიდამ, ცოდო არ არი?

— იდათი აგრეა, მემრე შიგვე ჩავყრით.

— არა მგონია, რაც რწყილიატყავემ ეგ საცოდავი ძვლები თავის ახლო-მახლო აბოგინოს, ამაღამვე წამოდგება და სუერთაიანათ დაჰკვნეტამს და გაანიარწყლებს დაბმულ ძაღლივით გულ-გაბრაზებული,—ამ თქმის უმალვე ზეზე წამომდგარი მეცხვარე თავის გზას გაუდგა მხარზე კავ-ჩომბახ გადებული.

საფლავებზედ ცხვრის ფარასავით გაშლილი ვირები მობუსუსებულ მწვანესა სძოვდნენ არხეინად. თითქოს იწყინაო მეცხვარის ზორბა ქოფაკმა: ამ დიდყურა ვირებს აქ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ნაწილის გამგეს, მოსძებნოს ახალი სადგომები 5 სასწავლებლისათვის. ახალს სადგომებს გრცელი ეზო უნდა ჰქონდეთ

** ტფ. მე-10 საპოლიციო ნაწილში საჩივარი განუცხადებიათ იარალოვის ქარხნის ხელოსნებს. ხელოსნებს უთქვამთ, ქარხნის პატრონი სამუშაო ფასის ნაწილს გვიჭერდა გირაოდ იმ შემთხვევისათვის, თუ ხელოსნები გააფუჭებდნენ ქარხნის იარაღ-მანქანებს. ეს ხელოსნები იარალოვს დაუთხოვნია, ამიტომ თხოულობენ დაჭერილ ფულის დაბრუნებას.

—

შეცდომის გასწორება.

„ივერიის" გუშინდელ ნომრის ახალ ამბავში შეცდომით დაბეჭდილია: იმპერატორის ალექსანდრე მე-III სახელობის პრემია 300 მან... უნდა იყოს 3000 მან.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რამდენიმე სიტყვა ზესტაფონის საჭირ ბოროტო კითხვების შესახებ.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ზესტაფონელები ერთათ-ერთს გონების გასართობს—თეატრს გამოვესალმეთ. მართალია, თავიდგან ბედი არაფრად უღიმოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხალხი თანდათან შეეჩვია თეატრს და ბევრს იგი თითქმის მუდმივ მოთხოვნილებადაც გარდაექცა. ხალხი თანდათან აფასებდა, თუ რამდენი სარგებლობა შეეძლო მოეტანა ამ გვარს გასართობს კაცისათვის. თუ რამდენად საჭიროა დ. ზესტაფონში კვლავ დაარსება მუდმივის თეატრისა, ეს 24 ივნისს გამართულმა წარმოდგენამ გვიჩვენა. წარმოდგენილი იყო თავ. დ. ა. მიქელაძის ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ხაფანგი". თამაშობდნენ სცენის მოყვარეები ქ. ქვარიანის დახმარებით. წარმოდგენამ საშაგალითოდ ჩაიარა და არ ჰგავდა აქაურს უფერულს თამაშს. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნებიც დარჩა. ხშირად გამართვა ამ გვარის წარმოდგენებისა კერძო სახლებში, მუდმივის თეატრის უქონლობისა გამო, ეჭვი არ არის, შეუძლებელია და ამისათვის აუცილებლად საჭიროა მალე ისევ საკუთარი შენობა მოუპოვონ. როგორც ხმაა გავრცელებული, თეატრის ასაშენებლად ხელის მოწერა თურმე გამართულა და ფულს აგროვებენ. სასურველია ამ საქმეს ხელი ერთგულად მოჰკიდონ და დააჩქარონ, თორემ ხალხში გაღვიძებული წყურვილი ვაი, თუ ჩაჰქრეს და „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გაძრესო", ზესტაფონელებსაც ასე მოუვიდეთ!

აქვე ორიოდე სიტყვა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შესახებაც. ნათქვამია: „ბედი რომ დაიბადება, ბედი თან დაჰყვებაო", სწორედ ასეა ამ სამკითხველოს საქმე ჩვენში. იმ თავიდგანვე ბედი რადაც დედინაცვლურის გულგრილობით ეპყრობა მას. პირველად წიგნთ-საცავის გამგეთ ბ-ნი მიხეილ გაჩეჩილაძე ბრძანდებოდა და ამ ვაჟბატონმა-კი, როგორც ყოვლთვისა და ყოვლგან, ისე წაიყვანა საქმე, რომ სულ მცირედენს ხანში წიგნთ-საცავ-სამკითხველო კინაღამ დაკეტვამდის მიიყვანა. ამის გამო სამკითხველო ქ-ნს ოლიმპიადა ბაქრაძეს გადასცეს. მაგრამ, ვაი ჩვენს დღეს, რომ ვერც არასფერი ამან უშველა: არ ვიცით რადა, სამკითხველო ნამდვილს „развлечение"-ს დაემსგავსა. (რაშიაც გამგეს, ეჭვი არ არის, ბრალს ვერ დავდებთ!) სადაც ყოველ-დღე მხოლოდ მშვენიერ სქესის მადმერთებელი ახალგაზრდობა დაიარებოდა. თუ რამდენად არ იყო ხოლმე წეს-რიგი დაცული სამკითხველოში, ამისათვის საკმარისია ჩავიხედოთ თუნდაც სამკითხველოს საჩივრის წიგნში, რომელშიაც წევრებს სამკითხველოს შესახებ თავიანთი საჩივარი უნდა ჩაეწერათ ხოლმე. მაგრამ დალახვრა ღმერთმა სასწაულთ-მოქმედება ზოგიერთა გარემოებისა. აღნიშნულს წიგნში, საჩივრის მაგივრად, წაიკითხავთ, მაგალითად: „ბატონ ვ. ა—ის ვთხოვ უმორჩილესად ჩემი აბრეშუმის პლატოკი(?) დამიბრუნოს; ბენა, ეს რომ არაფერი ზრდილობაა?" ქვეშ ვიდაც „ანიჩკა"-ს უწერია ხელი. და წიგნი აი ამგვარის საჩივრებითაა სავსე, ხოლო სამკითხველო „ანიჩკასებური" ქალებითა და მათის მოტრფიალეებით. ამ ბოლოს დროს ეს გამგეც დაითხოვეს (რა მიზეზით-კი არვინ იცის) და მის მოადგილეთ ვიდაც დარისპ. მარაქველიძე დაუნიშნავთ, რომელიც ჯერ-ჯერობით თავისს თანამდებობის აღსრულებას არ შესდგომია. ამის გამო სამკითხველო და წიგნთ-საცავი აგერ ორი კვირაა კარებ-ღიაა და ღვთის ანაბარად დატოვებული. სარცხვენია სწორედ ჩვენთვის, რომ ამოდენა დაბას როგორც ზესტაფონია, ერთი რიგიანი წიგნთ-საცავ-სამკითხველო არა აქვს! ბევრი სხვა არის თავისის უხამსობითა და შეუფერებლობით დასაცინი და გასაკიცხი ჩვენში, მაგრამ რა ვქმნათ, რომ ვიცით „ხმად-მღაღადებლისად დარჩება უდაბნოსა შინა".

ყვირილის-პირელი

—

ს. კახი (სიღნაღის). წვიმდეს და აღარ მოვიდეს „შარშანდელი წელიწადიო", იძახიან ინგილოები და თან დასძენენ: „თუ შარშანდელმა მოუსავლიანმა წელიწადმა უკან დაგვწია, არც წრევანდელი გვაკლებს რასმეო". დედა-მიწა გვალვისაგან ქვასავით გამაგრებულა, მთელი გლეხის ნაწვავ-ნადაგი ჭორნახული უწვიმობისაგან იწვის. ამას ზედ დაერთო ახლა საქონლის ჭირი. ისეთს სოფელს ვერ შეჰხვდებით მთელს საინგილოში, სადაც ჭირს ათობითა და ასობით არ დაეხოცოს საქონელი. სდგას გლეხი გულ-ხელ დაკრეფილი და გულჩათუთქული და თვალ-ცრემლიანი შესცქერის ასეთს დამღუპველს სურათს.

ვისაც-კი ღონისძიება ჰქონდა წელს, თითქმის ყველამ უწამლა ვენახებს და ერთად-ერთი იმედი ინგილოებისა ესდაა, თუ რომ ამანაც არ უმტყუნა. გარდა ამისა, ინგილოები წელს ახალს დარდსა და საგონებელში ჩავარდნენ, რადგანაც მოულოდნელად ერთი-ორადა და ერთი სამად მეტი სახელმწიფო გარდასახადი დაადეს. რამ გამოიწვია ეს გარემოება, გაუგებარია.

სამაგიეროდ, ინგილოების მეზობელს ხალხს (თათრებს), წინა წლებთან შედარებით, ხარჯი უფრო დაუკლეს წელს. ინგილოებმა კიდევაც მიჰმართეს, სადაც ჯერ იყო, რომ მათთვის სახელმწიფო გარდასახადი კვლავინდებურად გაეწერათ, მაგრამ უარი მიიღეს. ეხლა უმაღლესს მთავრობას უპირებენ მიმართვას, რომ საქმის გარემოება აუხსნან. ღმერთმა ბრძანოს, უმაღლესს მთავრობას ამათის საჩივრისათვის ყურადღება მიექციოს და თხოვნა შეესრულებინოს, რადგანაც ისედაც დაჩაგრული ინგილო გლეხი ამგვარმა გაჭირვებამ უკიდურებამდის მიიყვანა. ამბობენ, ამგვარი ხარჯის გაწერა სამის წლით არის სანიმუშოთაო, მაგრამ ამ სამს წელიწადს თუ ინგილოებს ხარჯის გადახდაში ტყავი გასძვრებათ, მერე როგორ-და უნდათ ხალხს შეძლებით მოსცენ და წელი გაუსწორონ. ბევრი რომ არ ჩავასახელოთ, მაგალითად პატარა სოფ. ალიბეგლოს ავიღებ, სადაც 1899 წ. სახელმწიფო გარდასახადი 1,197 მ. 40 კ. იყო და 1900 წ.—1185 მ. 60 კაპ., წელს ამ სოფელზედ 4,705 მანეთია გაწერილი. რა შეიძნეს წელს ალიბეგლოელებმა, რომ ამოდენა ხარჯი დაეკისრათ, არავინ იცის?

გ. ფარადაშვილი

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. როგორც „Invenstris Review"-ში ვილსონის მიერ მოთავსებულ წერილიდგან სჩანს, ომის დაწყებიდგან დღემდის ინგლისს 12 მილიარდი დაჰხარჯვია, რასაც, ეჭვი არ არის, ნივთიერად დიდი გაჭირვება უნდა მოჰყვეს, ავტორის აზრით. ამავე გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ ინგლისის საზოგადოება ამ ბოლოს დროს ასე დაჟინებითა თხოულობს ომი მალე როგორმე იქმნას შეწყვეტილი.

მეორე მხრივ ბურების სამხედრო მდგომარეობაც ისეთს არაფერს ნიშნებს არ იძლევა, რომ მოსალოდნელი იყოს ომი მალე გათავდეს და ინგლისელ ჯინგოების ეროვნული თავმოყვარეობა(?) დაკმაყოფილდეს. როგორც სამხრეთ-აფრიკიდგან დაბრუნებულ ერთის სანდო კაცის პირით გადმოსცემენ გაზეთ „Daily News"-ს, ბურებს ამ ჟამად აი, რა იარაღი და ჯარები შეჰრჩენიათ:

ტრანსვაალში ჯერეთ კიდევ არსებულ არტილერიას ამ ჟამად ერთი ბატარეა სამინდვრო ზარბაზნებისა და 8 „pom-poms" კიდევ შეჰრჩენია, რომელსაც კაპიტანი ბარონი ვიხმანი და მაიორი ლოდევიკი პრეტორიუსი თურმე უფროსობენ, ის პრეტორიუსი, რომელიც სპიონსკოპთან ჰხელმძღვანელობდა ჯარსა.

დევეტსაც კიდევ აქვს 6 ზარბაზანი ორანჟეს რესპუბლიკაში, მაგრამ ტყვია-წამალი ნაკლებადა აქვს და ამისათვის მომეტებული ნაწილი ზარბაზნებისა დაფარულს ადგილებში აქვს მიწაში დამარხული.

ორანჟეს რესპუბლიკის აღმოსავლეთის ნაწილში დევეტი, შტეინი და ბოლბე ჰმოქმედებენ. სურსათი, ტანისამოსი და იარაღი ყველა ამათგანს საკმაოდ აქვს. ამათი ჯარის-კაცები მომეტებულ ნაწილად ლი-მეტფორდის სისტემის თოფებით არიან შეიარაღებულნი, რომლებიც ინგლისელებსვე წაართვეს.

ორანჟეს რესპუბლიკის დასავლეთით ბერცოგის რაზმები ჰმოქმედებენ. ამათ თითქმის მთელი ეს ოლქი ხელთ უჭირავთ და კოპსტადიდგან იაკობსდალამდე ჯარები სრულიად თავისუფლად მიჰყავთ-მოჰყავთ.

ტრანსვაალის დასავლეთით, იმ ოლქებში, რომლებიც დელაგოას რკინის გზის მახლობლადა მდებარეობენ, ბურებს ეგრედ წოდებული რამდენიმე „მარჯვე მსროლელთა" რაზმი შეუდგენიათ. ყველას, ვინც-კი ამ რაზმში თურმე შედის, ჯერ სროლაში სცდიან, 1,000 არდზედ (0,914 მეტრისა, ანუ ნაბიჯი) ტყვია როგორ მოჰყავს.

ინგლისელების წინააღმდეგ აჯანყებული კაპის ახალშენის აფრიკანდერები ბურებთან შედარებით უკეთესს პირობებში არიან, რადგანაც ამათ კაპის ახალშენში

ხელი აქვთ წმინდა ტაძრის გვერდით, აფთარივით გაუქანდათ გულბრაზიანად ამრეზილი ქოფაკი, ელვის სისწრაფით ეძგერა გაზებში თავისი ალმასა კბილებით ერთს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს და თავზარ დამცემ ქოფაკისაგან საშინლად ღრიალებული ვირები კუდაბზეკილი ჰენებით და ტლინკების ყრით გაიფანტ-გამოიფანტნენ აქათ-იქით მწვანე ხავერდის ველობიანზედ.

სასაფლაოების შარა-გზის პირ-ამართზედ მძიმედ დატვირთული ხეტყის ურმები მოჰრიალებდნენ დინჯად და მეურმეები შოლტების ტყლაშუნით, სახრეების შლაპუნით და დვი-ჰატვუს კივილით ახმაურებდნენ მდუმარე წყვდიადივით მიჩუმებულ მკვდართა სამეფოს. ამაივაკეს აქლემების ქარვანივით დამწკრივებულმა ხეტყის ურმებმა, შვება მიეცა ხარ-კამეჩს და რწყილიატყავეს სამარის მახლობლად გულ-სევდიან ნაღვლით გაჟღენთილ ხმა-კილოზედ დაიღუღუნეს მეურმეებმა ჰოროველა:

— ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო,
ნუ მოგვიშლი შენს იმედსა,
მუშას წელს ნუ აატკივებ,
ფურსა ძუძუს, ხარსა ქედსა.
— შვილო, ვისი გკლავს სურვილი,
ძილს არ გაძინებს მძინარსა,
წავალ და იმას გიპოვნი,
წყალს ჩაუდგები მდინარსა.
— საწყალი მუშა ტიროდა:
რათ გამაჩინე, დედაო,
სხვა ჩემი ოფლით ბატონობს,
და მე კი სული მხდებაო.
— მუცელი დაგსივებია,
ალოცვინე თვალისაო,
მაგრე იციან ბიჭებმა
შენისთანა ქალისაო.
— შენ, ზღვაო, ცრემლო ქვეყნისავ,
იესო მობრძანდებაო,
მართლისა ამტირებელი
ცეცხლ-ნავთში დაიწვებაო.

— მობრძანდება იესო წამებული და სამართლიანი, პირი მოვჭამე იმის დიდებულობას, მობრძანდება როცა მეორეთ მოსვლა იქნება, დაბრძანდება ოქროს ტახტზე, და ყველა უსულღმერთო ცოდვიანები ჯოჯოხეთის გენიაში ჩაიწვებიან და ჩაიბუგებიან მკათათვის აფიცხებულ ნამჯასავით!—გულ-მრისხანე სახოვებით წარმოსთქვა მეურმის სიტყვების გაგონებაზედ ფარაჯა-დაგლეჯილმა ხნიერმა მესაფლავემ, ხელში ნაჭერი ყალიონი გამოაბოლა და განაგრძო:

— ნათქვამია: ადამიანის გაუმაძღარ თვალ-გულს შავი მიწის მეტი ვერა გააძღობსრაო. და თუ შავი მიწა გააძღობს, როცა ჩემი კუდის რიკეამდინ გამტყავებელი ლაღო და გალუსტაც რწყილიატყავესავით ჩაძაღლდებიან! ღმერთო მაღალო! შემაჰწარ იმ დღეს, რო იმ უსულღმერთო სულ-წაწყმენდილ ცოდვიანებსაც მე უთხრიდე სამარეს ჩემი გძელ ყანწა წერაქვით!

ეს იყო კიდეც წმინდა ტაძრის ზარმა დაიწყო: ტიიინ! ტიიინ! ტინ...

— მააქთ! მააქთ რწყილიატყავე!

— მააქთ და მაიტანონ, აქ არიე შავი მიწის დიდი ზვინები და პტყელპირა ნიჩფები, იმდენი მიწა მივაყაროთ ი საკვნესებელ გულზე, რო დანდობილა გავაძღოთ შავი მიწით მაინც ის თვალ-გულ გაუმაძღარი საფლავ-ძაღლი!..

— უჰ! ჰა-ჰა-ჰა! ეგე, ადექით, გაიხედეთ კაცებო, ზღვისოდენა ღვდლები მოუძღვიან და ჯარისოდენა ხალხი მაჰდევს! ჰაითუ ეგენიც კი დაჰყლაპამენ და ჩაალაგებენ სვავებივით რწყილიატყავეს მსუქან ქელეხს! მგონია მშიერ ტურასავით კბილები უკაწკაწებთ: ერთი მალე დავძღნეთო.

— სვავებივითაც დაჰყლაპამენ, გამაიტიტაყვებიან და ყელშიაც ამაიდენენ რძენაწყენ გოჰვით, თუმცა არც ჩვენ დავაკლებთ, კაცებო, ღვთიჰ წინაშე რომ ვთქვეთ, მაგრამ არ კი მგონია, რო მაგოდენა აზღვავებულ ხალხში ერთმა მაინც ალალი გულითა თქვას შასანდობარი სუფრაზე: ღმერთმა შაიწყალოს და სასუფეველი დაუმკვიდროს რწყილიატყავესო.

— თუნდა თქვან კიდეც ალალი გულით, თქმით რა იქნება, ღმერთი ჩვენ ჭკვაზე როდი დადის, შვილოსა! მაგათ კი არა, მთელი ქვეყნის ქათალიკოზებმაც რო სუ ეს იძახონ სველ სველი ხელადით: ღმერთმა აცხონოს რწყილიატყავეო, მითაც ის ცხონებისას ვერას გაიგებს, რაღგანაც გლახაკსა და გაჭირვებულს ეგ არაფრით ეწეოდა, სუ იმაზე ეჭირა გამგელებულს ი დასათხრელი თვალები: ვის რა გავგლიჯო და წავართვაო, ნატერის თვალიც რო ეპოვნა, მაინც ვერაფრით გაძღებოდა, მაინც კიდე ი საცოდავ რწყილსაც გაატყავებდა და გულ-ღვიძლს ამოაცლიდა სამწვადეთ. თავისათვისაც კი ცარიელ პურსაც ვერ იმეტებდა იმთენს, რო ის მაინც მაძღრისთა ეჭამნა, და ეგე ეხლა, გამაჰტყვრეს თვალი, სხვები დაჰყლაპამენ ლამაზათ მაგის ავკაცობით მონაგრებულს, თან სულსა და ხორცსაც შაგინებენ, და მაგითანა სულკატიანი რწყილიატყავე ცოდვიანებისათვის ხო ჩხებ-კუდიანი ქაჯ-ეშმაკებით სავსე ჯოჯოხეთიც მზათ არი კარღია! რაც მოგივა ალიაო, ყველაშენი ბრალიაო—ეს არი აი, კაცებო!..

სამარის პირას ფეხზე მდგომნი მესაფლავენი ეხლა კი სულ-გაცანცულნი გაჰყურებდნენ მოახლოებულს მრავალ სამღვდელოება-ხალხს და რწყილიატყავეს შინდისფერ პლიზ-ბარხით მოსილ კუბოს ბზინვარე ბუზმენტ-მოსართავებს, რომელნიც თვალწარმტაცად ბჭყვრიალებდნენ მზის სხივებზედ ოქროსფრად. გულ-საამებლად ამწვანებულ მთის ზურგის ჯაგმაგიან ბუჩქებზედ ჭრელბუმბულა ჩიტუნიებმაც შესწყვიტეს მხიარული ჭიკჭიკი მრავალ ხალხის დანახვაზედ, საფლავების მწვანიანზედ გაშლილმა ვირებმაც თავები მაღლა აიღეს დარბაისული სიდინჯით და ყურებ-დაცქვეტილებმა თვალებ-გაშტერებული ყურება დაუწყეს გალობით მომავალ დიაკვნებს. სამგლოვიარო ძაძით-მოსილ პირისუფალთა სისხლის ცრემლით გულ-ნამტირალი მოთქმა-ქვითინი მწარე სასოწარკვეთილებით სწყვეტდა და ჰკრულავდა შეუბრალებელ ცა-ქვეყანას ოჯახის დედაბურჯი-რწყილიატყავეს სიკვდილისათვის, და წმინდა ტაძრის ზარს ეხლა უფრო მკვახედ გაჰქონდა ლაჟვარდიანს ცის კამარაში: ტიიინ!... ტიიინ!.. ტიიინ!..

დ. მაჩხანელი

ჰოლანდიელი ფერმერები დიდის თანაგრძნობით ეპყრობიან და მათი რიცხვი 5,000-დან 6,000-მდეა.

ევროპაში მყოფი ბურების მთავრობა დარწმუნებულია ამასთანავე, რომ ამ ორის თვის განმავლობაში აჯანყებულ აფრიკანდერთა რიცხვი უთუოდ ერთიორად იმატებს. საზოგადოდ მთელი ახალშენი დიდად აღელვებულია ინგლისის წინააღმდეგ, რადგანაც აფრიკანდერებს სამხედრო დროის მიხედვით ძლიერ სასტიკად ეპყრობიან და უსამართლოდ ავიწროებენ. დელეგატები ფიშერი, ვოლმარანი და ვესსელი კრიუგერის აზრს სრულიად ეთანხმებიან, რომ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლად აუცილებლივ საჭიროა ორთავე რესპუბლიკას დამოუკიდებლობა მიენიჭოს.

პრეზიდენტმა კრიუგერმა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლაზედ უარი სთქვა. ამ წინაზედ პრეზიდენტს უთქვამს ჰილფერსუმში ერთის თვისის მეგობრისათვის, რომ ინგლის-ტრანსვაალის ომის ბოლო მთელს ქვეყანას უზომოდ გააკვირვებს...

დასასრულ, ბურების მთავრობის წარმომადგენელნი ევროპაში ყოველგვარს ცნობებს დაუყოვნებლივ და სავსებით იღებენ ამ ბოლოს დროს, რადგანაც ევროპის ერთი სამხრეთ ქალაქი სამხრეთ-აფრიკასთან პირდაპირ არის ტელეგრაფით შეერთებული.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ინგლისში, დოქტორის მერრეის რედაქტორობით, მზადდება დასაბეჭდათ ახალი ლექსიკონი ინგლისურ ენისა. ამ ლექსიკონში განმარტებული იქმნება ყველა სიტყვა, რომელიც-კი ეს უკანასკნელი 800 წელიწადია ხმარებაშია. აგრეთვე აწერილი იქმნება სიტყვის ისტორია, სახელდობრ ის, თუ სად და როდის გაჩნდა სიტყვა, შემდეგ როგორ შეიცვალა, როგორ უნდა დაიწეროს ეს სიტყვა, წარმოითქვას და სხვა. ლექსიკონის შედგენაში 2000 კაცი იღებს მონაწილეობას.

* * *

პარიჟის ქალაქის საბჭომ მიიღო საჩუქრად ვიქტორ ჰიუგოს სახლი. შესანიშნავ პოეტის ორ შვილის-შვილს აზრადა აქვთ მოათავსონ ამ სახლში თავიანთის პაპის ნახატები, აგრეთვე იმისი საწერი სტოლი და ტახტი. ამას გარდა ამ სახლში მუზეის მოსაწყობად სწირავენ 50,000 ფრანკს.

* * *

როგორც მკურნალთა გამოკვლევამ დაამტკიცა, ჭლექის ბაცილა ადამიანის სხეულს სამ გზით ეტანება: სასუნთქებელ და საკვების მომნელებელ ორგანოების შემწეობითა და კან ქვეშ შესხურებით, თუ ასეთი შესხურება მოხდა. ზევრჯელ შეუსხურებიათ ტუბერკულოზური ნივთიერებანი კურდღლის ბაჭიებისათვის. ის ადგილი, სადაც ნივთიერებას შეასხურებენ ხოლმე, ჯერ მაგრდება, შემდეგ რბილდება, ჩირქი იწყობს დენას, და ჭლექი უჩნდება ბაჭიას. ესევე შეუმჩნევიათ კაცებზედ. პარიჟელი პროფესორი ვერნეი გადმოგვცემს, რომ ერთხელ ერთმა ჩემმა მოსწავლემ ჭლექისაგან გარდაცვალებულ კაცის გვამის გაჭრის დროს თითი იჩხვლიტა და შიგ ნივთიერება შეასხურა. რამდენისამე ხნის შემდეგ ნაჩხვლეტი დასიებულა, მერე სენი მთელ სხეულს მოსდებია: სტუდენტი ხერხემლის ტვინის ჭლექით გამხდარა ავად. მაგრამ ყველაზედ მეტად ჭლექი სასუნთქებელ ორგანოების შემწეობითა ვრცელდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კაცი ჰაერთან ერთად იმ ადგილის მტვერსა ჰსუნთქავს, სადაც ჭლექიანის გამხმარი ნაფურთხია. მკურნალს ტორნიეს შეუგროვებია ჭლექიანი ნახველი, გაუხმია იგი, დაუფხვნია და მტვრად უქცევია, შემდეგ ერთ ოთახში მოუფრია, სადაც 12 ძაღლი დაუმწყვდევია. რამდენიმე ხნის შემდეგ 12 ძაღლი ჭლექისაგან მომკვდარა. 1878 წელს პარიჟის ერთ ბიუროში მოსამსახურედ ორი ჭლექიანი შესულა. ამ მოსამსახურეებს ღამე იატაკზედ ეძინათ ხოლმე. 1881-გან 1889 წლამდე ჭლექით ამ ბიუროში 13 სხვა მოსამსახურე მომკვდარა, რომელთაც წინად არავითარი ნიშნები ჭლექისა არ ეტყობოდათ. ადმინისტრაციამ ბოლოს ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას. ბიურო გაასუფთავეს, იატაკის ფიცრები აიღეს და სხვა დააგეს, ერთის სიტყვით, ბიურო გადააკეთეს, ამის შემდეგ ავად ჭლექით აღარავინ გამხდარა.

* * *

პარიჟში ამას წინად დაარსებულა პირველი საზოგადოება სიფილისის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამ „დღევანდელ შავის ჭირის“ წინააღმდეგ, როგორც პარიჟელი პროფესორი ფურნიე ეძახის სიფილისს. სიფილისი პარიჟში წლითი-წლობით ვრცელდება. დღეს ამ ქალაქში სიფილისით ავადმყოფი მარტო მამაკაცი 125,000-ია. ახლად შემდგარ საზოგადოებას აზრადა აქვს რაც შეიძლება მეტი წევრები მიიზიდოს, უმთავრესად მკურნალნი, ჰიგიენისტნი, სოციოლოგნი, ადმინისტრატორნი, ფილოსოფოსნი, საზოგადოდ უმაღლეს ინტელიგენციის წარმომადგენელნი, რომ იმათ შემწეობით ყოველ მხრივ გამოიკვლიოს როგორც სენის გავრცელება-გაძლიერების მიზეზნი, ისე იმის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი. ამას გარდა საზოგადოებას უნდა სახელი მოიპოვოს, რათა მთავრობასა და ადმინისტრაციაზედ გავლენა იქონიოს. შემდეგ საზოგადოება ეცდება ხალხში გაავრცელოს ცნობები სიფილისის შესახებ. ამას გარდა, საზოგადოება დააარსებს საავადმყოფოებს, თავშესაფარებს, სკოლებს და სხვას.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 ივლისი.

პეტერბურგი. 8 ივლისს პრინცი ადალბერტ პრუსიისა გემით ახალ პეტერგოფში წავიდა, სადაც იგი დედოფალმა იმპერატრიცამ მიიღო. შემდეგ პრინცი წავიდა მიხაილოვკაში, სადაც იგი დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ მიიღო. ნაშუადღევის 5 საათზედ პრინცი ადალბერტი და გერმანიის გემის აფიცრები ალექსანდრიის აგარაკში წავიდნენ, სადაც წარუდგნენ მის უდიდებულესობას. შემდეგ აფიცრები ალექსანდრიაში წავიდნენ, ხოლო პრინცმა ერთ საათზედ მეტი დაჰყო და მერე ისიც წავიდა.

სიმლა. კაბულიდგან დაბრუნებული ევროპიელი ვაჭრები იუწყებიან, რომ ემირი ეს რამდენიმე ხანია ავადმყოფობს.

შანჰაი. ოფიციალურის ცნობებით, ხსინხვაში (ფოკიენის ოლქში) სერიოზული აჯანყებაა. ეს აჯანყება საიდუმლო საზოგადოებებმა გამოიწვიეს. ჰშიშობენ, უცხოქვეყნელთა მისიები არ დაზარალდნენ.

კონსტანტინეპოლი. დიდ მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს ებოძა ორდენი იმტიაზისა. საგანგებო სადილზედ გუშინ საღამოთი ილდიზ-კიოსკში დაესწრნენ დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, რუსეთის ელჩი ზინოვიევი, დიდი ვეზირი, მინისტრები სამხედრო და საზღვაო, სახელმწ. საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრები გარეშე და შინაგან საქმეთა, დიდის მთავრის ამალა, საელჩოს წევრნი და კარის წარჩინებულნი.

კონსტანტინეპოლი. გუშინ, სადილზედ წასვლისას ილდიზ-კიოსკში, დიდი მთავარი, ზინოვიევი და სხვანი „ჩერნომორეცით“ დოლმა-ბახჩაში მივიდნენ, სადაც მათ დაჰხვდათ მიხმანდარი დივიზიის გენერალი ახმედ-ალი-ფაშა და პოლკოვნიკი ჯევდ-ბეი, რომელთაც სტუმრები ილდიზ-კიოსკში გააცილეს. დიდი მთავარი პირდაპირ მერასიმ-კიოსკში შევიდა, სადაც სულთანიც მოვიდა და ესაუბრა დიდ მთავარს; შემდეგ ერთად სასადილო დარბაზში გავიდნენ.

ბერლინი. ბანკირმა რავიჩმა თავი მოიწამლა თავის ბინაზედ. როგორც დატოვებულის ბარათიდგანა სჩანს, თვით-მკვლელობის მიზეზი ის ზარალი ყოფილა, რომელიც ლეიპციგის ბანკის გაკოტრების გამო მოსვლია.

ხაბაროვსკი. 8 ივლისს ხაბაროვსკში, იმ სამხედრო მოქმედებათა წლის თავზედ, რომელიც იმიერბაიკალის საზღვრიდგან ხუნჩუნის ციხემდე მოხდა, დიდი დღესასწაული გაიმართა: ეკკლესიის მოედანზედ ჯარი გამწკრივდა, სამღვდელოებისათვის კარავი იქმნა გამართული; წირვის შემდეგ გამოიტანეს მოედანზედ 185 დროშა და სამხედრო ნიშანი, რომლებიც ჯარმა ჩინელებს წაართვა. ჯარი „ურას“ ძახილით მიეგება. ყოვლად-სამღვდელო ნიკოდიმმა გადაიხადა პარაკლისი, შემდეგ პანაშვიდი ომის დროს მოკლულთა სულის მოსახსენებლად. როდესაც ხელმწიფის მრავალ-ჟამიერი წარმოსთქვეს, ზარბაზნები გაისროლეს.

კონსტანტინეპოლი. 9 ივლისს საღამოთი გაიმართება საგანგებო სადილი ილდიზ-კიოსკში დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის პატივსაცემად, რომელიც კონსტანტინეპოლიდგან სამშაბათ საღამოთი წავა.

ბლუმფონტეინი. ბლუმფონტეინელ ბურებზედ გავლენა იქონია ორანჟის რესპუბლიკის მთავრობის წევრთა დაპატიმრებამ. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია იმან, რომ ინგლისელებმა ხელთ ჩაიგდეს მთავრობის ქაღალდები. ყველა მოსურნეა, რომ მშვიდობიანობა მალე იქმნას დამყარებული. მცოდნე წრეები ჰფიქრობენ, რომ ორანჟეს რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვი ომამდე 75,000 სულს უდრიდა; აქედგან 35000 ამ ჟამად გაქცეულთათვის თავშესაფარებშია, 10,000-მდე ტყვედაა წაყვანილი, 17,000 ინგლისელების მიერ დაჭერილ ქალაქებში სცხოვრობს და მხოლოდ 13,000 მამაკაცი, დედაკაცი და ბავშვია ეხლა თავისუფალი, მაგრამ არავინ უწყის, რამდენი მამაკაცია ამ ჟამად საომრად გასული.

კონსტანტინეპოლი. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე დღეს, დილის 11 საათზედ, მივიდა „როსტისლავით“ ბუინის ლიმანში, შავის ზღვის შესავალში. დიდის მთავრის მისვლისას 21 ჯერ ზარბაზანი გაისროლეს. სულთანმა დიდის მთავრის მისაგებებლად საიმპერატორო იახტით გაგზავნა საზღვაო მინისტრი, დივიზიის გენერალი ახმედ-ალი-ფაშა, ცერემონმეისტერი გალიბ-ბეი და სხვანი. ნაშუადღევის 1 საათზედ დიდი მთავარი გადავიდა „როსტისლავიდგან“ „ჩერნომორეცზედ“ და დოლმა-ბახჩის იმპერატორის სასახლეში წავიდა, იქიდგან დიდი მთავარი, ზინოვიევი, სულთნის დელეგატები და რუსეთის საელჩოს წევრები წავიდნენ ილდიზ-კიოსკში, სადაც სულთანმა დიდი მთავარი აუდიენციაზედ მიიღო.

კონსტანტინეპოლი. გუშინ, აუდიენციის შემდეგ, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე წავიდა იმპერატორის სასახლეში, რომელსაც სახელად „მერასსიმი“ ჰქვიან, სადაც რამდენისამე წუთის შემდეგ სულთანი მოვიდა სამაგიერო დარბაზობის გარდასახდელად.

10 ივლისი.

პეტერბურგი. 10 ივლისს ხელმწიფე იმპერატორმა პრინცი ადალბერტი ინახულა გერმანიის გემს „შარლოტაზედ“. პრინცს ებოძა ორდენი ანდრია პირველ წოდებულისა.

ლონდონი. კრება ტუბერკულეზის წინააღმდეგ საბრძოლველად დღეს გახსნა ჰერცოგმა კემბრიჯმა. შემდეგ მინისტრმა დანსდოუნმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაჰპირდა მთავრობის მხრივ დახმარებას კრების მუშაობას. ბერლინელმა პროფესორმა თავისს სიტყვაში დაწვრილებით აღნიშნა ის წარმატება, რომელსაც გერმანიაში მიაღწიეს ამ ბოლოს დროს ტუბერკულეზთან ბრძოლით. ეს წარმატება თვალსაჩინოა. ლორდი ლისტერი მიეგება დელეგატებს ინგლისელ მკურნალთა სახელით, ხოლო ლორდმერი — ქალაქის სახელით. კემბრიჯის ჰერცოგმა წაიკითხა მეფის დეპეშა. დასასრულ ჰერცოგმა აუწყა კრებას, რომ როგორც გავიგე, 12,000 გირვანქა სტერლინგი იქმნება გადადებული საზოგადო სანატორიის დასაარსებლად კრების სურვილისამებრ.

პარიჟი. არჩევნები საგენერალო საბჭოების წევრთა. შუაღამის 12 საათისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუვიდა ცნობები 1,444 არჩევანისა, აკლია კიდევ 10 არჩევანიც. არჩეულ იქმნა 557 რესპუბლიკანელი, 477 რადიკალი, 33 რადიკალ-სოციალისტი, 54 სოციალისტი, 25 მემარჯვენეთა წევრნი, რომელნიც რესპუბლიკანელთ მიემხრნენ. რესპუბლიკანელებმა 47 ახალი ადგილი მოიპოვეს. და-შარანტის დეპარტამენტში რესპუბლიკანელთ პირველად მოიპოვეს უმრავლესობა. რუბეში არჩევნების გამო არეულობანი მოხდა: მანიფესტანტები ქუჩებში დაწრწოდნენ, მათ ფანჯრების მინები ჩაამტვრიეს ზოგიერთ მაღაზიებში და გაანადგურეს ყავა-ხანები. რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა; დაპატიმრებულ იქმნა ხუთი კაცი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. როდესაც ჩინეთის საქმეების გამო შეეკითხნენ, კრანბორნმა განაცხადა, რომ შანხაიში ეხლა უცხო ქვეყნელთა ჯარიდგან არის: 1,945 ინგლისელი, 450 ფრანგი 6 ზარბაზნით, 850 გერმანელი 4 ან 6 ზარბაზნით და 300 იაპონელი. შეთანხმდნენ, რომ ჩინეთმა სამხედრო ჯილდო უნდა გადაიხადოს 4°/₀ ობლიგაციების შემწეობით, რომელსაც ჩინეთი ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს მისცემს.

როგორც უკანასკნელ ცნობებიდგანა სჩანს, პრინცი ტუანი თავისს ნათესავთანაა, მონღოლიის მმართველთან ალაშანთან. ტუნფუსიანი კანსუს დასავლეთ ნაწილშია. იმ ამბის შესახებ, ვითომ ტუანს დიდი ჯარი ჰყავდეს, მთავრობამ არაფერი უწყის. — გიქს-ბიჩმა სთქვა, რომ მთლად ის ხარჯი, რაც ჩინეთის ექსპედიციას დასჭირდა, ფლოტის ხარჯის გარდა, უდრის 4,350,000 გირვანქა სტერლინგსა.

კონსტანტინეპოლი. რადგანაც ჩინეთის მოხელეებმა სერბია-ოსმალეთის საზღვარზედ დაიჭირეს და დანიშნულებისამებრ არ გაისტუმრეს ოფიციალური კორესპონდენცია, მაკედონიაში მყოფ სერბიის საელჩოს სახელზედ გაგზავნილი, ამიტომ სერბიის ელჩმა გრუიჩმა პორტას მიჰმართა განცხადებით, რომელზედაც გარეშე საქმეთა მინისტრმა მიუგო, რომ უკვე ბრძანება გაუცა კორესპონდენციის დაბრუნების შესახებ, რადგანაც კონფისკაცია შეცდომით მოხდა. ოსმალელი ყაჩაღები დაეცნენ გასაძარცვავად საბერძნეთის საელჩოს ბრუსსში, მაგრამ როდესაც საელჩოს კავასებმა სროლა ასტეხეს, ყაჩაღებმა დასტოვეს მოპარული ნივთეული და გაიქცნენ. საბერძნეთის ელჩმა პროტესტი განაცხადა ბრუსის ვალის წინაშე და მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა და აგრეთვე ის, რომ უზრუნველ ეყო პირადად იმისი უშიშროება. კონსტანტინეპოლში მყოფმა საბერძნეთის ელჩმა თავადმა მავროკორდატომ შესაფერი ღონისძიებანი იხმარა პორტის წინაშე.

პრეტორია. დღეს დაასაფლავეს პრეზიდენტი კრიუგერის მეუღლე.

ბელგრადი. სულთნის საგანგებო დესპანი, რომელსაც ძველ-სერბიის საქმეების გამო მინდობილება აქვს, აქ მოვიდა ორის ადიუტანტით.

შეცდომის გასწორება.

„ივერიის“ მე-147 ნომრის დეპეშაში შემდეგი კორექტურული შეცდომა შეპარულა: პეტერბურგიდგან მოსულ დეპეშის მე-7 მუხლში სწერია: ფინანსთა მსროლელი ბატალიონი... უნდა იყოს: ფინნთა მსროლელი ბატალიონი...

განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ახალი საშუალება
თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება
„კვერცხის რძე“
სახის გასანაზებლათ და გასათეთრებლათ. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობ მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა — 2 მან., პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.
ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავგზავნებათ. (100—211—56)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Іюня 1901 г. სტამბა ქ. ივ. ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე